



ილგა-ევროპა
რუ დე შარიტე 17
ბრიუსელი B-1210 ბელგია
ტელ: + 32 2 609 54 10
ფაქსი: + 32 2 609 54 19
info@ilga-europe.org
www.ilga-europe.org

რა არის ილგა ევროპა?

ილგა ევროპა წარმოადგენს ევროპის რეგიონს ლესბოსელების და გეების საერთაშორისო ასოციაციაში (ILGA). ჩვენი სამუშაო მოიცავს თანასწორობისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფას ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანებისთვის ევროპაში. ჩვენ ვართ არასამთავრობო ქოლგა ორგანიზაცია, რომელიც თავის წევრებს, ლგბტ ორგანიზაციებს, ზოგადევროპულ დონეზე წარმოადგენს. ილგა-ევროპა მთელი ევროპის მასშტაბით 200 ორგანიზაციას აერთიანებს.

ჩვენი ხედვა:

ილგა-ევროპა ისეთი მსოფლიოსათვის იბრძვის, სადაც ყველა ადამიანის უფლებაა დაცული და სადაც ყველა თანასწორად და სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამონატულების ნიადაგზე დისკრიმინაციის გარეშე იცხოვრებდა.

ჩვენი მიზანი:

- ზოგადევროპულ დონეზე დავიცვათ მათი უფლებები, ვინც სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამონატულების ნიადაგზე დისკრიმინაციას განიცდის.
- თანასწორობის და არადისკრიმინირებულობის უფლებების ხელშეწყობა ლობირებისა და ადვოკატირების მეშვეობით, ევროპული ინსტიტუტების მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების განათლებითა და მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლებით.
- ქსელური მუშაობით, ინფორმაციის გაცვლითა და ტრენინგების მეშვეობით იმ ევროპული ორგანიზაციების გაძლიერება, რომლებიც იბრძვიან სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამონატულების ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

რატომ არის საჭირო ილგა-ევროპის არსებობა:

- დღევანდელ ევროპაშიც განვიცდით დისკრიმინაციას სხვადასხვა სფეროში, როგორებიცაა დასაქმება, ჯანდაცვა, ბინადრობა, პენსიები, სოციალური დაცვა, პროდუქციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა.
- რადგანაც ევროპა ჯერ კიდევ არ არის ის კონტინენტი, სადაც ლგბტ პირები არ განიცდიან დისკრიმინაციას, სტეროტიპების გავლენასა და ძალადობას.
- ვინაიდან სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამონატულების ნიადაგზე დისკრიმინაცია არ არის სრულად აღიარებული და დაგმობილი, როგორც ზოგადევროპულ დონეზე, ასევე ცალკეული ევროპული სახელმწიფოების მიერ.

- რადგან ერთი სქესის წარმომადგენლების ოჯახები და მათი შვილები ჯერ კიდევ არ არიან სრულფასოვნად აღიარებულნი და მათ არ ეპყრობიან პატივისცემით და ღირსეულად.
- ვინაიდან ბევრი ლგბტ პიროვნება ჯერ კიდევ ხდება სიძულვილზე დამყარებული გამონათქვამების, დამცირებისა და ძალადობის ადრესატი და ხშირად მსხვერპლიც კი.

წევრობა:

ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას, რომელიც იზიარებს ჩვენს მიზნებს და ფასეულობებს შეუძლია გაწევრიანდეს ილგა-ევროპაში. საერთაშორისო ილგა-ს ყველა ევროპელი წევრი ავტომატურად ხდება ილგა-ევროპის წევრიც.

წევრობის სახეები:

- **სრული** წევრობა შეუძლიათ არაკომერციულ ლგბტ ორგანიზაციებს ან არა-ლგბტ ორგანიზაციების ამ საკითხებით დაინტერესებულ ჯგუფებს.
- **ინდივიდუალური** წევრობა ნებისმიერი პირისთვისაა ხელმისაწვდომი.
- **ასოცირებული** წევრობის შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერ სხვა ორგანიზაციებს, როგორებიცაა კომერციული ლგბტ ორგანიზაციები, სამთავრობო ინსტიტუტები და არა-ლგბტ სამოხალისეო ორგანიზაციები.

გაწევრიანების თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია და წევრობის განაცხადის ფორმა იხილეთ შემდეგ ბმულზე:

www.ilga.org/member.asp

როგორ შეგიძლიათ ითანამშრომლოთ ილგა-ევროპასთან და მხარი დაუჭიროთ მას?

- გახდი ილგას წევრი ან შეუერთდი შენი ქვეყნიდან ილგას წევრთა ჯგუფს.
- მიიღეთ განახლებული ინფორმაცია ლგბტ საკითხებზე პოლიტიკის განვითარების, კანონმდებლობისა და ზოგადი პოლიტიკის თაობაზე ჩვენს “უმცირესობათა ელექტრონულ ევროწერილზე” ან ჟურნალზე ხელმოწერის მეშვეობით.
- გაეცანით ჩვენს ვებგვერდს და დაგვეხმარეთ თქვენი ქვეყნის შესახებ ინფორმაციის განახლებაში.
- მონაწილეობა მიიღეთ ჩვენს ყოველწლიურ კონფერენციებში.
- გახდი ‘სტიპენდიების მოზიდვის ანგელოზი’.
- შეასრულე სამოხალისეო სამუშაო ჩვენთვის.

ნებისმიერი სხვა სახის საინტერესო და დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე:

www.ilga-europe.org